# დროება

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 67 ოთხშაბათი, 25 მარტი 1909 წ. № 67

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამდე 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. პატარა წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ გზავნის. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება რედაქტორთან ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდო ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.





**თავადი ილია ივანეს ძე და მისი შვილი გრიგოლ ილიას ძე მაღალაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ ძმის, ხოლო მეორე—ძაუვიწყარ ბიძის პოდ-პოლკოვნიკის

**თავ. ალექსანდრე ივანეს ძის მაღალაშვილისას**

პანაშვიდები სოფელ ჩუჩეთში ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—მაღ.—1)

**მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ**

იყიდება საგანგებოდ, შეკვეთით გამზადებული საუკეთესო აბრეშუმის თესლი, კაპილიანა კაკიდის ფირმისა. სამიწლის ზედიზედ გამოცდილებამ ნათლად გვაჩვენა: იქვსმა ძისხალმა თესლმა მოგვცა საუკეთესო პარკი სამ ფუთ ნახევრიდან ოთხ ფუთ ნახევრამდის. ფასი ამ თესლისა შედარებით სხვა ფირმის თესლთან იაფია.

ამ თესლის საწყობი არის ბათუმში ფირმის წარმომადგენლებთან: აზილებ დიმიტრიადთან და ექვ. ბერმენიშვილთან.

ეს თესლი იყიდება ქუთაისში ნ. ჯანელიძესთან, სამტრედიაში—თოდორაძესთან და კაცაძესთან, ოზურგეთში—დ. ცეცხლაძესთან, ჩახატაურში—კ. სიხარულიძესთან და გ. ცინცაძესთან, ნაგომარზედ—ა. ნიკოლაშვილთან, გელენჯიხაში—იაკობ. მანაგასთან. (23—121—10)

ვნების კვირაში

**სააღდგომო ბაზარი**

ბებია-ქალთა ურთიერთ დამხმარე ელ

საზოგადოების სასარგებლოდ

„რიჩჩის“ პროექტორში მიხეილის ქუჩაზე.

გასასყიდად ნივთების ფასი ორი შაურიდან. არის ყოველგვარი კოხტა და საუცხოვო ნივთი, სააღდგომო საქონელი და შინაური კულიჩები გირვანქა 30 კაპეიკიდან.

დილის 9-ს—დან საღამოს 9 საათზ. ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს. (3—2)

ვნების კვირაში

ბახმაროს (ოზურგეთის მაზრა) მომხმარებელ საზოგადოების

**„ჭ-ა-ნ-მ-რ-თ-ე-ლ-ო-ბ-ა“-ს**

გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ პირველ აპრილს ამა წლისას, დილის თორმეტ საათზედ, ქ. ოზურგეთში, ეტლთა ამხანაგობის კანტორაში, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომლითაც გაიცემა იჯარით აგარაკ ბახმაროში. ამა 1908 წლის სეზონის განმავლობაში, საზოგადოების შემდეგი სავაჭროები:

1. სასადილო სახლი თავის მებელითა.
2. საბაკალეინო სავაჭრო სახლი.
3. ორი პურის საცხობი ფურნე.
4. კეგლი.

ვისაც სურს აღნიშნულ სავაჭროების აღება ამ სეზონში, ის უნდა გამოცხადდეს ქ. ოზურგეთში 1 აპრილს თავისუფ. ეტლ. ამხ. კანტორაში.

გამგეობის წევრნი: დ. ზ. ცეცხლაძე. მღ. მ. ქავჟარაძე. დ. ზ. თალაქვაძე.

(3—6.—3)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, ძმიდოვისა. (0—586—109)

**ექიმი ე. ვაჩნაძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—86)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6. 26)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—90)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც გაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—40)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ჩერნიავსკაია**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—22)

ახლად გახსნილი

ტფილისის

**კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—22)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**წ.-კითხვის საზოგადოების** გამგეობა უმორჩილესადა სთხოვს ყველას, ვისაც წაღებული აქვს ფულის შესაგროვებლად „**საზოგადოების**“

**ყულაბები**

აუცილებლად დააბრუნოს ამა წლის მაისის პირველამდის. (5—უ.—4)

**ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.**

**„კოლხიდაში“**

იყიდება პარიზიდან გამოწერილი **იონჯა** (провансальская люцерна) **შემოწმებული აბრეშუმის გრენი** სამედო ფირმებისა „პასხალიდი“ და სხვა ხეხილის ნერგები და სხვა. საჭირო ცნობები და პრეის-კურანტების მიღება შეიძლება გამგე **გ. მ. ჩივაძისაგან.** (20—6—13)

**ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოების**

**გამგეობა**

აცნობებს საზოგადოების წევრთ, რომ წლიური საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, 5 აპრილს დილის 11 საათისთვის სამეურნეო ბანკის ბინაზე.

განსახილველია:

1. საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1908 წ.
2. 1909 წლისთვის ხარჯთ-აღრიცხვა.
3. საზოგადოების წევრთა არჩევანი. (3—6.—1)

საჭიროა გაზეთის გასასყიდად ქ. ოზურგეთში **აგენტი** გირაო უნდა იქნეს წინდაწინვე წარმოდგენილი 30 მან. დაწვრილებით პირობა: ტფილისი, ამხ. „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძე. (5—2)

**შპალიერი**

**ძმ. ტარნოპოლების**

**ფაბრიკის**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.**: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (25—6—4)

**ჭიათურის საურთიერთო ნდობის**

**საზოგადოების საბჭო**

იწვევს საზოგადო ჩვეულებრივ წლიურ კრებას 12 აპრილისათვის, დილის 12 საათზე, ადგილობრივ თეატრის დარბაზში.

**განსახილველი საგნებია:**

1. მოხსენება საბჭოსა;
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა,
3. 1908 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება;
5. არჩევნები გამგეობის ერთი წევრისა და საბჭოს სამის წევრისა. (3—6.—2)

**ლაკომობილები**

ნაკლებ ნახმარი რუსტან პროქტორის ქარხნისა 6 და 4 ძალიანი და რეზინის სასრუტავები (центробѣжныя насосы) 6. იყიდება მ. გ. ბოტკინის საზეინკლო-საამშენებლო მექანიკურ სახელოსნოში, ელისაბედის ქუჩა, № 115. (5—139—5)



# ტფილისი, 25 მარტი

განმანთავისუფლებელ მოძრაობის დროს ჩვენს ქვეყანაში მრავალი პრინციპიალური საკითხი იყო წინ წამოყენებული. თუმცა ვერც ერთი მათგანი ვერ ეღირსა თვით მოძრაობის ხანაში საბოლოო და პრაქტიკულად დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტას, მაგრამ ამ წინ წამოყენებულ საკითხების მნიშვნელობა ამით არ შესუსტებულა, პირიქით უფრო გაიზარდა. რაც მეტი ხანი გადის 1905 და 1906 წლების საყოველთაო ამოძრავების შემდეგ, მით უფრო ნათლად და ცხადად ირკვევა, რომ განვლილ მოძრაობის თითოეული იდეიური ცენტრი მთელს სამოქმედო პროგრამას გულისხმობს, მჭიდროდ და ღრმად დაკავშირებულს ქართულ ცხოვრების საერთო პირობებთან. მოძრაობის მიყუჩებას და დამარცხებას სრულიად ის აზრი არა აქვს, ვითომ გაუქმებულიყოს და მოსპობილიყოს ის საჭიროება, რომელმაც ოთხი წლის წინად სტიქიონურად იფეთქა და თავზირდამცემის უცაბედობით შეარყია საზოგადო მყუდროება. მოძრაობის ჩაქრობა მხოლოდ გარეგანი ფორმაა, ცხოვრების სიღრმეში კი კვლავ განაგრძობენ მოქმედებას მაშინდელი მომწიფებულნი საჭიროებანი. ერთად-ერთი არსებული განსხვავება ის არის, რომ რის ასრულებაც სახალხო მოძრაობას ოთხის წლის წინად ერთის ხელის მოქნევით ჰ'სურდა, იგი ეხლა გადაქცეულია განსაზღვრულ გეგმაზე დასაწყობ დინჯის, მაგრამ ბეჯითის მუშაობის მიზნად.

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ განვლილ მოძრაობის ერთი-ერთი იდეიური ცენტრი მიწის საკითხი იყო. პოლიტიკური პარტიები და კერძო პირები 1905 და 1906 წლებში მთელის თავის გონიერების ენერგიით სცდილობდნენ ისეთი ფორმულა აღმოეჩინათ, რომლის განხორციელებასაც პოლიტიკურის აქტებით ერთბაშად უნდა გადაეწყვიტა მრავალფეროვანი და მრავალტოტიანი მიწის საკითხი. ვიწრო პრაქტიციზმის თვალსაზრისით ეს მეცადინეობა უნაყოფო გამოდგა, მაგრამ არა თუ არ მოკვდარა ის სული, რომლითაც იყო განმსჭვალული აგრარული სულისკვეთება, პირიქით იგი გაღრმავდა, გაფართოვდა, გაიზარდა, გაიტაცა ის ელემენტებიც კი, რომელნიც წინად ალმაცერად უცქეროდნენ მას, და დღეს მან თამამად დაიჭირა პირველი ადგილი ჩვენ საზოგადოებრივ ინტერესების რიგში. სახალხო მოძრაობის დაწყნარებას და დანელებას წითელ ზოლივით აედევნა ძებნა პრაქტიკულ მოქმედების იმ გვარ ფორმებისა, რომელთა საბოლოო მიზანსაც წარმოადგენს ერთის მხრივ მიწების გადაცემა მიწის მუშათა ხელში და მეორეს მხრივ განაყოფიერება მათის შრომისა. ამ მიზნის შესაფერს, ამ მიზანთან შეწყობილს მოქმედების ფორმებს დაეძებს ჩვენში არა მარტო სოციალისტური ინტელიგენცია, არამედ აგრეთვე ჩვენი წვრილი ბურჟუაზია და თავადაზნაურობა. ჯერ კიდევ ნაადრევია ჩვენის ახლო წარსულის ისტორიული დაფასება, მაგრამ მაინც უკვე თანდათან ირკვევა, რა იყო მიზეზი, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა მიმართულების პარტია და ჯგუფი შრომის ინტერესების თვალსაზრისით სცდილობდა თავის პოლიტიკურ ფიზიონომიის გამორკვევას: ვერც ერთი საზოგადოებრივი წრე, ვერც ერთი საზოგადოებრივი ჯგუფი ვერ იხეირებს საქართველოს ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებისა გამო, თუ იგი პირდაპირ შრომას არ დაემყარა; საქართველოში არავის არაფრის იმედი არ შეიძლება ჰქონდეს გარეშე შრომისა; ჩვენის ქვეყნის მომავალი ბედ-იღბალი ამ ქვეყნის შემადგენელ ყველა ელემენტებისთვის მთლად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად განვითარდება შრომა და იმისი ნაყოფიერება. რა თქმა უნდა, ჩვენ ეკონომიურ ინტერესების სრულს ჰარმონიაზე არა ვლაპარაკობთ; ასეთი ჰარმონია არც არის და არც შეიძლება იყოს ახლანდელ სოციალურ პირობებში, მაგრამ ეკონომიურ ინტერესების წინააღმდეგობას ჩვენს ქვეყანაში შედარებით მცირე მნიშვნელობა აქვს, ხოლო შრომის პრინციპების საყოველთაო გამარჯვებას კი გაცილებით მეტი გავლენა აქვს როგორც ქართველ ხალხის საერთო ცხოვრებაზე, აგრეთვე თითოეულ იმის ნაწილის კეთილდღეობაზე.

სწორედ შრომის ინტერესების საყოველთაო მნიშვნელობაა მიზეზი, რომ ასე გახშირებული და გამწვავებული ლაპარაკია ჩვენს დროში საქართველოს სოფლის წვრილ მეურნეთა განვითარებაზე როგორც თავად აზნაურულს, აგრეთვე წვრილ ბურჟუაზიულ წრეებში. უკანასკნელი შაბათი და კვირა ამ მხრივ პირდაპირ სანიმუშო დღეები იყვნენ. შაბათს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე ჩვენი „აგრარიები“ ერთიერთმანეთზე მედგრად და გადაჭრით აღნიშნავდნენ ისტორიულს მომენტს და დეპუტატთა საკრებულოს დარბაზს გაბედულად ახმაურებდნენ გულის სიღრმიდგან ამოღებულ სიტყვებით, რომ ერთად ერთი გზა წარმატებისკენ არის შრომა, შრომა და ისევ შრომა. შაბათს ჩვენმა თავად აზნაურობამ სამაგალითო ერთსულოვნებით დაადგინა, აღადგინოს სასოფლო-სამეურნეო თანხა, რომლის დანიშნულებაც სოფლის მეურნეთა შრომის განაყოფიერებაა; დაადგინა, უხვად გაუწოდოს მაშველი ხელი გლეხებს მიწების შესაძენად და დაეხმაროს სოფლის მშრომელ ხალხის ორგანიზაციებს ჩარჩებთან და უმეცრებასთან საბრძოლველად. ეს დადგენილება უბრალო სიტყვებს არ წარმოადგენს, მას განსაკუთრებით ძალას აძლევს 200 ათასი მანათი, რომელიც თავად-აზნაურობამ გადასდო ამ დიდმნიშვნელოვან საქმისთვის მომავალ სესხიდან. კვირას იგივე საკითხი სამეურნეო შრომის განაყოფიერებაზე წამოყენებულ იქმნა სასოფლო-სამეურნეო ბანკის კრებაზე და აქაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი გულმხურვალედ მოეკიდა მას.

შესაძლებელია, ახლო მომავალში ვერც თავად-აზნაურობის დადგენილება ვერც სამეურნეო ბანკის სურვილმა ვერ გამოიღონ შესაფერი ნაყოფი; შესაძლებელია, მიწის მუშათა მდგომარეობას ვერც ერთმა მათგანმა ვერ დასდოს მალამო, მაგრამ ამით მაინც არ შესუსტდება მნიშვნელობა შაბათის და კვირის კრებებზე გამომჟღავნებულის სულისკვეთებისა. უმთავრესი აქ ის არის, რომ უკვე ჩვენის საზოგადოების ფართო წრეების შეგნებაშია შეჭრილი აუცილებელი საჭიროება, ეკონომიურად გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის და მიწის დამმუშავებელთა მდგომარეობა, ხოლო ეს შეგნება კი დღეს იქნება, თუ ხვალ აუცილებლივ მიაგნებს მიზნის შესაფერ მოქმედების ფორმას. პრაქტიკულ ნაყოფსაც მაშინ დავინახავთ.

მოსალოდნელია, იმ ეკონომიურ ხაზზე მოქმედების განვითარებამ, რომელზედაც შესდგა ფეხი კვირას თავად-აზნაურობამ, გამოიწვიოს თან და თანი დაპირისპირება ახალს ფორმებში თავად-აზნაურულ და გლეხურ სამეურნეო ინტერესებისა; შესაძლებელია, აგრეთვე თან და თან დაუპირისპირდეს სოფლის მეურნეობას ჩვენი ჯერ-ჯერობით სუსტი და უძლური ბურჟუაზია. უფრო მეტს ვიტყვით, თან და თანი ზრდა ამ სამ საზოგადოებრივ წრის ინტერესთა წინააღმდეგობისა ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, მაგრამ სასტიკი წინააღმდეგობა მომავლის საქმეა, ეხლა კი ამ სამსავე წრეს უფრო მეტი საერთო ინტერესი აქვს, ვიდრე საწინააღმდეგო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 მარტი

**სპარსეთი**

**თავრიზი.** ურმიელ რევოლიუციონერთა მეთაურმა ქრისტიანმა ფერამორზანმა ამ დღეებში დააპატიმრა მთავრობის გუბერნატორი მოხტეშამუს-სალტანე.

**ბალკანეთი.**

**პარიზი.** 23 მარტს ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩი ბოსნიის ანექსიის შესახებ გამოელაპარაკა საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს. როგორც ლონდონიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, ფიქრობენ, რომ საფრანგეთი და ინგლისი თანხმობას განაცხადებენ ავსტრიის წინადადებაზე ბერლინის ტრაქტატის მე-25 მუხლის გაუქმების შესახებ.

**საზღვარ-გარედ.**

**ნეაპოლი.** „გამბურგი“-ს გემით აქ მოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტად ნამყოფი რუზველტი. მოვიდა აგრეთვე გემი „ადმირალი“, რომლითაც რუზველტი აფრიკაში მიდის.

**ფრიდრისჰაფენი.** დილის 9 საათზე ჰაეროსტატი „ცეპპელინი“ აფრინდა. ნაშუადღევის ოთხ საათზე ჰაეროსტატი რავენსბერგის მხრიდან მოვიდა და ბადენის ტბის თავზე რამდენსამე ხანს მანევრებს აკეთებდა. საღამოს ექვს საათზე ჰაეროსტატი შვეიცარიის ნაპირისკენ გაფრინდა. ამ ფრენით უნდოდათ გაეგოთ, გასძლებდა თუ არა ჰაეროსტატი 24 საათს ჰაერში.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინი თავის ოჯახობით პეტერბურგიდან წავიდა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** 23 მარტს, დილის 6 საათზე, ადგილობრივ სტამბაში ჩხრეკის დროს შეიპყრეს მამა და შვილი რეალურ სასწავლებლის მეშვიდე კლასის მოწაფე, რომელნიც სოციალისტ-რევოლიუციონერთა პროკლამაციებს ბეჭდავდნენ. წაიღეს 400 დაბეჭდილი პროკლამაცია. მამაშვილი საპატიმროში გაგზავნეს

**დონის როსტოვი.** დონსკოის სტანიცაში 30 შეიარაღებული კაცი ღამე თავს დაეცა მემ მელის სახლს.

შემამულე წინალამეს მოვიდა მუშებისათვის ფულის დასარიგებლად. მცარცველები ანთებულის ჭრაქებით შევიდნენ სახლში, გაიტაცეს 400 მანეთი ფულად, ძვირფასი ნივთები და მიიმალნენ.

**ხერსონი.** სოფელ პრივალში მდინარე ინგულცა ადიდდა და წალეკა 135 სახლი. წყალი ორი ადლის სიმაღლეზე ავიდა. ზარალი დიდია.

**პეტერბურგი.** ღღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა სამი კაცი, გარდაიცვალა ერთი კაცი.

უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომლითაც სენატორ შვარცს ევალება წარუდგინოს საკანონმდებლო დაწესებულებებს სახალხო განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი კანონ-პროექტი პირველ-დაწყებით სასწავლებლების შესახებ. დაევალა აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრს წარადგინოს საკანონმდებლო დაწესებულებებში მოხსენება იმის შესახებ, რომ სედლეცის და ლიუბლინის გუბერნიების აღმოსავლეთ ნაწილისაგან შესდგეს განსაკუთრებული ხოლმის გუბერნია. ფინანსთა მინისტრმა შეიტანა მინისტრთა საბჭოში მოხსენება, რომლითაც განზრახულია გადიდებულ იქმნას გერბის გარდასახადი.

უმაღლესის ბრძანებით უყურადღებოდ იქნა დატოვებული 1908 წლის 12 დეკემბრის უქვეშევრდომილესი მოხსენება ფინლანდიის სეიმისა და 1908 წლის 30 დეკემბრის უქვეშევრდომილესი პეტიცია ამავე სეიმისა. მოხსენებასა და პეტიციაში ფინლიანდელები თხოულობდნენ ფინლიანდიის შესახებ საქმეების განხილვის წესის შეცვლას.

**პეტერბურგი.** აღკრძალეს გაზეთ „ვეჩერ“-ის მე-283 ნომერი. რედაქტორ სავიჩს სამართალში აძლევენ.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

**წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებანი.** როგორც უკვე ვწერდით, წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ განყოფილების დაარსების შესახებ შესაფერი შუამდგომლობანი აღძრა სათანადო მთავრობის წინაშე. დღემდე ქიათურის გარდა საზოგადოებას არც ერთ განყოფილების გახსნაზე პასუხი არ მიუღია. გამგეობას თათბირი ჰქონდა ამის შესახებ. სთქვეს, რომ საზოგადოების მთავარ გამგეობას სრული უფლება აქვს თითონ მოახდინოს ლეგალიზაცია განყოფილებისა და ამისთვის არავითარი ნება-რთვა არ არის საჭირო. მთავარმა გამგეობამ ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებით მართლაც გამოარკვია, რომ საზოგადოებას წესდებით უფლება აქვს განყოფილებათა დაარსებისა, ხოლო ყოველ განყოფილების დაარსების შესახებ გამგეობამ ადმინისტრაციას უნდა აცნობოს ხოლმე, რომ აქა და აქ განყოფილება დაარსდა და ამა და ამ დროიდან მოქმედება დაიწყო. ამ რიგად, იქ, სადაც უკვე დაარსდა განყოფილებანი, გამგეობებს შეუძლიანთ ეხლავე შეუდგნენ მოქმედებას. ამის გამორკვევის შემდეგ, საქმე აღარ დაყოვნდება.

**სახალხო სახლის კურთხევა.** ზუბალაშვილის სახელობის ტფ. სახალხო სახლი უკვე დასრულებულ იქმნა ყველაფრად. დღეს, 25 მარტს, ნაშუადღევის 1 საათისთვის, დანიშნულია კურთხევა სახლისა. კურთხევაზე მოწვეულნი არიან წარმომადგენელნი საზოგადო დაწესებულებისა, პრესისა და სხვათა.

**დუქნების დაკეტვა პოლიციელის მოკვლის გამო.** პოლიციის მე-6 ნაწილში უბნის ზედამხედველის მოროზოვის მოკვლის გამო, ადმინისტრაციის განკარგულებით, დაჰკეტეს ბევრი სავაჭრო სახლი.

**ჩარჩების წინააღმდეგ.** ორშაბათს, 23 მარტს, ტფ. სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტების კრება მოხდა. მოილაპარაკეს დღესასწაულებში ვაჭრობის მოწესრიგებაზე და ჩარჩების ალაგმვაზე. აგენტებმა გაინაწილეს სავაჭრო ადგილები და დაადგინეს, თვალ-ყური ადევნონ, რომ ჩარჩების მეოხებით სანოვაგის ფასმა არ აიწიოს.

**სახალხო უნივერსიტეტი.** ორშაბათს, 23 მარტს, მოხდა სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა, გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ი. რცხილაძემ აღნიშნა უმოქმედობა უნივერსიტეტისა და განაცხადა, საჭიროა მეტი სიცოცხლეო. გამგეობა იკრიბება, თათბირობს ამას ან იმას ადგენს, მაგრამ გაკეთებული და დადგენილების ამსრულებელი-კი არავინ არის. საჭიროა, დავაწესოთ გამგეობის წევრთა მორიგეობაო. გამგეობა პრინციპიალურად თანახმა გახდა თავმჯდომარისა, ხოლო მორიგეობის მოწყობა მიენდო გამგეობის მდივანს. გამგეობას ამ დღესვე მოხსენდა, რომ სომხეთა სექცია კვლავ შესდგა და წარმომადგენელი უნდა დაინიშნოსო. სექციაში გამგეობამ წარმომადგენლად დანიშნა ა. არაქელიანცი, ხოლო სექციიდან გამგეობაში რ. ხანაზადიონი.

**ვაჭრების კრება.** 22 მარტს მოხდა ტფ. ვაჭართა საზოგადოების კრება. ვაჭართა მამასახლისად (სტაროსტად) კვლავ ა. ნ. მილოვი აირჩიეს, იმის ამხანაგებად—ვ. ს. ეგიაზაროვი და ს. გ. კაფიევი. კრებაზე წაიკითხეს ანგარიში ტფ. სავაჭრო სკოლისა. სავაჭრო სკოლაში შარშან ყოფილა 113 სომეხი, 16 ქართველი, 10 რუსი, 8 თათარი და 5 სხვა ეროვნებისა.

**დამხრჩვალის გვამის პოვნა.** მეთევზე გრიქუროვმა თევზაობის დროს ორბელიანის ჰალასთან იპოვნა დამხრჩვალ ახალგაზრდა კაცის გვამი. დამხრჩვალი 17—18 წლის ყმაწვილია, ქერა, ტანისამოსი აღარ შერჩენია. მეთევზე გრიქუროვს გვამი მიწისათვის მიუბარებია, სანამ ვინმე პატრონი აღმოუჩნდებოდეს. თვითონ მეთევზე გრიქუროვი სცხოვრობს ავლაბარში, დარჩო ჯავახაშვილის ბაყლის დუქანში.

**სტუდენტის გრ. წულეისკირის გარდაცვალების გამო.** ოდესიდან შემდეგი დეპეშა მოგვივიდა: „ოდესის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები და მოსწავლე ქალები პატიოსან და მშრომელ ამხანაგის გრ. წულეისკირის დაკარგვის გამო გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის მეუღლეს, მშობლებს და მახლობელთ“.

**ქალთა სავაჭრო სკოლა.** ტფილისში არსდება ქალთა სავაჭრო სკოლა, ვაჟთა სავაჭრო სკოლის მსგავსი. ასწავლიან იმავე რასაც ვაჟთა სკოლაში. სწავლის დრო სამი წელიწადი იქნება. მიიღებენ 12-15 წლისას ხოლო მოსამზადებელ კლასში—8-11 წლისას.

**ჩამოხრჩობა.** კავ. სამხედრო-საოლქო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა იაგორ გოგინაშვილს, რომელსაც მკვლელობანი და ცარცვა-გლეჯა ჰბრალდებოდა.

**საქმის წაგება.** როგორც ვწერდით, ქალაქ ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოება ედავებოდა (ხელშეკრულობის დარღვევისათვის) 63,800 მანეთს. სასამართლომ შეიწყნარა ეს საჩივარი და დაადგინა, გარდახდეს ქალაქს უსახელო საზოგადოების სასარგებლოდ ფული თავის სარგებლით, ამას გარდა ქალაქს უნდა გადახდეს საქმის საწარმოებელი 13,000 მანეთი.

**დუქნების დაკეტვა დღესასწაულებში.** ტფ. პოლიცმეისტერმა აცნობა პოლიციის მოხელეებს, რომ არსებულ დადგენილებათა ძალით, 27,28 და 29 მარტს მთელი დღით უნდა დაიკეტოს სასმელი დუქნებიო. აღდგომის მეორე და მესამე დღეს დუქნები შეიძლება გაიღოს წირვის შემდეგ და უნდა დაიკეტოს არა გვიან სალამოს 6 საათისა.

**ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭომ ორშაბათს, 23 მარტს, 11-მდე საქმე განიხილა. საბჭომ, თანახმად გამგეობის დადგენილებისა, 6000 მანეთი გადასდო შამხაროვის მიერ ნაანდერძებ სახლის შესაკეთებლად; უარ-ჰყო სამსახურის ვადის გარეშე ჯარის კაცთა სახლობებისათვის ბინების ქირის მიცემა და სხვა. საბჭომ განიხილა აგრეთვე მოხსენება გამგეობისა ქალაქის საზღვრებიდან თოფის წამლის საწყობების გადატანის შესახებ. რადგან გამოირკვა, რომ კანონით ქალაქის საზღვრებში წამლის საწყობები აკრძალულია, საბჭომ დაადგინა, სთხოვოს მთავრობას, ქალაქს გარედ გადაიტანოს საწყობები. დიდი კამათი გამოიწვია მიკროსკოპიულ სადგურის ზედამხედველის ნ. ცერცვაძის თხოვნამ. ცერცვაძე სადგურზე შარშან მიუწვევიათ და ჯამაგირად 50 მანეთი დაუნიშნიათ. წელს ეს ჯამაგირი 35 მანეთად შეუმცირებიათ. ცერცვაძემ საბჭოს სთხოვა ჯამაგირის მომატება, რადგან ვერაფრით ვერ გამართლება ჯამაგირის შემცირებაო, მით უმეტეს, რომ საქმე ისევ ის არისო. ზოგიერთმა ხმოსნებმა ამ საკითხს პრინციპიალურად შეჰხედეს და გაიბა დიდი კამათი. საბჭომ უარ-ჰყო ცერცვაძის თხოვნა. საბჭომ ამავე სხდომაზედ დაამტკიცა 1908 წლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა.

**გაჩხრეკა და დაპატიმრა.** ავჭალისა, გროზნისა და ვლადიმირსკის ქუჩების გაჩხრეკის დროს დააპატიმრეს 5 კაცი.

23 მარტს მტკვარზე წყლის დასალევინებლად ცხენები ჩაუყვანია ილარიონ ჯანგირიძეს, რაჭის მაზრის მცხოვრებს. მნაცაკანოვის ხიდთან ჯანგირიძე ცხენიდან გადავარდნილა და წყალში დამხრჩვალა. დამხრჩვალის გვამი ჯერ ვერ იპოვნეს.

23 მარტს პოლიციის მე 5 ნაწილში ოჯანეზ და ნავასარტ დანიელიანცების მაღაზიაში საპასკო ფქვილის ტომრების შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ თითო ტომარას 2-3 და მეტი გირვანქაც აკლდა. ამის გამო დანიელიანცებს ოქმი შეუდგინეს და პასუხის გებაში მისცეს.

პოლიცმეისტერის განკარგულებით, ქალაქში დღესასწაულებში გააძლიერებენ პოლიციას. პოლიციელებს დავალათ, დიდი ყურადღება მიაქციონ ჯიბგირებს.

ამ დღეებში დაიკარგა ლაზარევის ქუჩაზე მცხოვრები 10 წლის ბიჭაკა არუთინიანცი, ადმინისტრაციამ განკარგულება მოახდინა, პოლიციამ მოსძებნოს ბავშვი.

როგორც ვწერდით, ქალაქის ლომბარდის გამგის ასლამაზოვზე საჩივარი შეიტანა ქალაქის გამგეობაში ლომბარდის მსახურმა ალავერდოვმა. ალავერდოვი სწერს, ოთხი დღე ავად ვიყავი და თუმცა ასლამაზოვს ვაცნობე ეს და ავადმყოფობის მოწმობაც წარვუდგინე, მაგრამ ასლამაზოვმა მაინც განუკითხავად დამითხოვა სამსახურიდანაო. ალავერდოვი სთხოვს გამგეობას, გამოძიება მოახდინოს და ასლამაზოვის უკანონო მოქმედება გააუქმოს.

23 მარტს ღამე პოლიციამ დააპატიმრა ივანე ჭელიძე, რომელიც გადასახლების შემდეგ რუსეთიდან თავის ნებით ჩამოსულა და ტფილისში იმალებოდა.

ვორონცოვის ქუჩაზე 23 მარტს ღამე დააპატიმრეს ომბიტ გაბრიელიანცი, რომელსაც რკინის კეტით გაენგრია კედელი კასტნოვის მაღაზიისა და უნდოდა გაექურდნა მაღაზია.

# პატარა ფელეტონი

## ი ა

ია დედის უბიდან ამოცენდა. ჯერ პაწაწკინა, ქინძისთავის ოდენა იყო, სალამომდის გაიზარდა, დილამდის დასრულდა, ნიავმა შემოჰბერა და გააშლევინა თავისი სუსტი მუქი ფოთლები. არ იცოდა, ვინ ან რა იყო, ან რისთვის გაჩენილიყო ქვეყანაზე, რა უნდა გაეკეთებინა. ბევრ რამესა ჰხედავდა, მხოლოდ თავის მსგავს-კი ვერა.

„ნეტავი ვიცოდე როდის გავჩნდი, როდის მოვედი? ან ამ ერთ ადგილას რათა ვარ მიჯაჭული? ნუ თუ ვერ მოვშორდები, ამ ადგილს? ფიქრობდა იგი და თან ახალი აზრები ებადებოდა:—უთუოდ რამე ვარ ან რამე მქვიან“.

— ია, ია მოსულა!—დაიძახა უეცრად ვიღამაც იმის თავზე.

თავი ასწია. მაღლა ტოტზე კოდარა შემოსკუპულიყო, კუდს იქნევდა, ნისკარტს აქა-იქ სცემდა და სიბრალულით დაჰყურებდა ახლად აღმოცენებულ მცენარეს...

— მეც დავინახე გუშინ, ვიცოდი, რომ დღეს გაიშლებოდა!—დაიძახა მოუსვენარმა ბეღურამ მეორე ტოტიდან.

— თქვე სულელებო, ეხლა დაინახეთ პირველად? აბა წადით ტყეში, იქაურობა გადამწვანებულია!—გამოეხმაურათ კაკლის ხეზე შემომჯდარი ყვავი.

— სულელი შენა ხარ, უთავ-ბოლოდ რომ დაყიალობ!—უკმეხად მიაძახა კოდარამ და კვლავ ბეღურას დაუბრუნდა.

„ჩემზე ლაპარაკობენ, მე შემეხება მათი ბაასი!—გაიფიქრა იამ:—მოდი, რაც იყოს, გამოველაპარაკები“.

— მეგობარო...—დაუძახა გაუბედავად.

— რა გინდა, მეზობელო?..—ჰკითხა ბეღურამ და მოუსვენრად ცმუკავა დაიწყო.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა გთხოვოთ რამ...

— გვიბრძანე მზადა ვარ გემსახურო, წუთის სტუმარო!—მიუგო თავის მხრივ კოდარამ და მძიმედ მეორე ტოტზე ჩამოსკუპდა.

არ შეიძლება გამაცნოთ ეს ახალი, ჩემთვის უცნობი ცხოვრება?

— რატომ მეგობარო, ადვილი სამსახურია: შენა გქვიან ია იბადები მხოლოდ ამ დროს, გაზაფხულის დამდეგს. შენი გვარისა ძალიან ბევრია. ამ გადაშლილ მინდორს ხომ ჰხედავ, სულ შენის ნათესავებით გადამწვანდება. ნაზი სურნელება ხარ, ვისაც-კი ყნოსვა შეუძლიან, ყველას ატკბობ და სიამოვნებასა ჰგვრი, მაგრამ წამიერია შენი სტუმრობა დედა-მიწაზე...

— წამიერს რად მეძახი?

— იმათ, რომ დიდ ხანს ვერა სცოცხლობ, ადამიანს ძლიერ უყვარხარ, წელში მოხრილი დაგეძებს, სადაც-კი დაგინახავს, გახარებული გამოქანდება და მოუწყვეტავს ან საქონელი გაგსრესავს, თუ ყველა ამას გადარჩი, ცოტა ხნის შემდეგ დაბერდები, ლამაზი ფრთები დაგცვივა და გარდაიცვლები.—დაათავა კოდარამ, ერთი ლონივრად შემოჰკრა ხეს ნისკარტი, მერე ცოტა დაფიქრდა და სხვაგან გაჰფრინდა.

ია ბეღურას მიუბრუნდა, მაგრამ ისიც გაფრენილიყო. ყვავს დიდი ხანია დაეტოვებინა კაკლის ტოტი და წასულიყო სარჩოს საძებნელად. მიმოიხედა იამ, მარტოდ-მარტო იყო, მხოლოდ ცელქი ნიავი უალერსებდა, ნელა არხევდა და ფოთლებს უშლიდა.

„ნეტა რას მერჩიან, რა უნდათ ჩემგან? კარგად ვერ გავიგე, რა მითხრა იმ კუდ-ქიცინა ჩიტმა. სეტყვასავით მომაყარა სიტყვები და გაფრინდა. ამპარტავანი ვინმე ვიღაცა. როგორ ამაყობდა თავის ხანგრძლივის სიცოცხლით და იმით, რომ დაფრინავს! ახ, ნეტავი მეც შემეძლოს გაფრენა ან გავლა!—ფიქრობდა ახალგაზდა ნორჩი ია და სრულებით ვერა გაიგო როგორ წაადგნენ თავს ვიღაცები.

ვიპოვნე, ვიპოვნე!—დაიძახა პატარა ქალმა, სიხარულით გაქანდა, მიირბინა მასთან, ჩაიჩოქა და კაბის კალთა გადააფარა. დამეხსენ, დამეხსენ, მიტო, ეს მე უნდა მოვწყვიტო, ჩემია, მე უფრო ადრე დავინახე!..

— მანდ სხვაც იქნება, ზოგს მე მოვწყვეტავ, ჩემი და არა ხარ! მერე მეც გამინაწილებ?—დაეღრიჯა ბავშვს ძმა.

„ვაიმე!—დაიკვნესა იამ.—ესენი იქნებიან, ვისზედაც ის ჩიტი მელაპარაკებოდა.. ეხლავ მომსწყვეტენ და მშვიდობით მშვენიერო სიცოცხლევ. ნუ თუ მართლა ასე მოკლე დღე მქონდა? მაშ რად გავჩნდი? ახ! კიდევ დაიკვნესა, რაღაც ეტკინა და წელში გადაწყდა...

მხიარული დედა სახლის აივანში მიეგება ბავშვებს. კონა ჩამოართო ქალს, დაჰყნოსა, მერე ნახად შეუსწორა ფოთლები, კიდევ დაჰყნოსა და გადასცა შვილს

— წაიღე, ნუცა, წყლიან ჭიქაში ჩასდგი და ყოველ დილას წყალი გამოუცვალე. მოწყენილია საწყალი ია...

შეიტანეს სახლში და წყალში ჩასდგეს. გული უკვნესოდა იას. წყალმა წყლული ვერ გაუმრთელა. ორ დღეს კიდევ იცოცხლა, მერე დასჭკნა, ფერი ეცვალა, სურნელებაც დაეკარგა.

— გადააგდე ეხლა ნუცა შენი ია, აღარ ვარგა, აი, ჩემი რა კარგია.—მოესმა მესამე დღეს და ბავშვმა შეარბენინა მეორე კონა.

დამ შურის-თვალით შეხედა ძმას. თავისი ია გაიტანა, სიბრალულით ერთი თვალი გადაავლო და გადააგდო შორს...

„შენც მალე გამოუდგები ჩემს გზას, ჩემო მოადგილევ!“—გაიფიქრა უკანასკნელად იამ და წყნარად სული განუტევა.

**გარიყული.**

# მოწერილი ამბები

**ახალციხე.** იმისთანა უბედური ხალხი, როგორიც ახალციხის ქართველები ვართ, არსად არ მოიპოვება. სწავლა-განათლება ჩვენ არა გვაქვს და სხვა სიკეთე; ვართ ერთთავად სიბნელეში და ვშიშობთ შუშრუტანა არ დაგვრჩეს სადმე, რომ იქიდან განათლების სხივმა არ შემოანათოს და ბნელეთის მდუმარება არ შეგვირყიოს. მხოლოდ გაკილვასა და ჭორიკანობაში ვართ პირველნი. მართალია, გვაქვს სამკითხველო და ქალთა ერთ-კლასიანი სასწავლებელი, მაგრამ ესენიც დანიშნულებას სავსებით ვერ ასრულებენ.

ბიბლიოტეკის უვარგისობაზე ხომ ამას წინადაც წაიკითხავდით გაზეთებში და ეხლაც რომ განვიმეორო, მოსაწყენი იქმნება, ამიტომ ისევ სკოლას შევეხები.

ხსენებული დედათა სკოლა 35 წელიწადი იქნება რაც არსებობს ანნა ბესარიონის ასულის მუსხელაშვილის მეოხებით. აქაურების ერთი უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ თუ ერთი ვინმე აირჩიეს კომიტეტში და ან მასწავლებლად, აღარავითარ კონტროლს აღარ გაუწევენ და ყველაკი ეს იმისი ბრალია, რომ ჩვენში ყურადღებას აღარ მოაქცევენ. ნათლი-დედობა და ნათლი მამობა ძალიან გავრცელებულია. სკოლის საქმე თუ ფუჩდება, ამას არავინ დაეძებს.

დიდი ხანი არ არის, რაც სკოლის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ქ-ნი ოდევსკაია, მანდილოსანი მხნე და პატიოსანი. თავშივე იგი გულმოდგინედ შეუდგა საქმეს. ერთი კვირას არხეული არ იქნებოდა, რომ გამართა ამ სკოლის სასარგებლოდ საღამო და 200 მან. ასარგებლა სკოლას. შემდეგ განიძრახა სწავლების საქმე გაეფართოვებინა, მეტადრე შრა-კურსისა. ამ აზრით მოსწერა სკოლის გამგე მასწავლებელს და სთხოვდა ეცნობებია: რას ასწავლიდნენ, რამდენი და რა ეროვნების და სარწმუნოების ბავშვი იყო და სხვა. გამგეს არ ეკაშნიკა ეს და არ აცნობა. ქ-ნმა ოდევსკაიამ მოიწვია საგანგებო კრება და ითხოვა, გამანთავისუფლეთ თავმჯდომარეობიდანაო. აირჩიეს 9 კაცი და მიანდეს მათ ამ საქმის გამორკვევა. როგორც გავიგეთ, კომისიას მასწავლებლისთვის დაუვალებია ბოდიში მოხადა ქ-ნ ოდევსკაიას წინაშე.

რა კარგი იქნება, ამ სკოლას დაუქვემდებარებდნენ წერა-კითხვის საზოგადოებას. ახლა კარგი შემთხვევაც არის: აქ არსდება წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება. წ.-კითხვის საზოგადოებავე შესძლებს უპატრონოს ჩვენს ბიბლიოთეკასაც.

არის აქ სცენის მოყვარეთა ახალი დასიც. დასს სცენის მოწყობილებანიცა აქვს და სდგავს წელიწადში 3—4 იაფფასიან სახალხო წარმოდგენას. შეიძლება წ.-კ. საზოგადოების განყოფილებამ ამ საქმესაც ჩაუდგეს სათავეში.

**აპრაჭიძე.**

## გრ. რობაქიძის ლექციების გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

მერამდენჯერმე სტკბება ამ მოკლეს დროში ტფილისელი ქართველი საზოგადოება ბ-ნ გრ. რობაქიძის ლექციებით. ეს ბედი ქუთათურ საზოგადოებასაც ხვდა წილად, დანარჩენი ქართველობა-კი ჯერ-ჯერობით მოკლებულია ამ სიამოვნებას.

ჩემის აზრით, არ იქნებოდა ურიგო, რომ პატივცემული ლექტორი თითო-ოროლა ლექციას სხვა ჩვენ დაბა-ქალაქებშიაც წაიკითხავდეს. აგრეთვე იმ ქალაქებში, სადაც შესადარად ქართველობა ბლომად არის, როგორც მაგალითად ბაქოსა, განჯასა, ერევანსა, ყარსსა, კავკავსა და სხვაგან.

მოგეხსენებათ, კარგა დიდი ნაწილი ქართველობისა, სრულიად მოწყვეტილი მშობლიურ ნიადაგს, გაბნეულია დასახელებულ ქალაქებში, როგორც სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში მყოფნი. ამათ უყვართ თავიანთი სამშობლო, მაგრამ, საუბედუროდ, იმისთანა პირობებში არიან, რომ თითქმის გარდა გვარებისა აღარაფერი აღარ ამტკიცებს მათ ქართველობას (ან კიდევ იმ ქართულ სადამოებისა, რომლებსაც დრო და დრო მართავენ ხოლმე). მარად უცხოთა გავლენის ქვეშ მყოფთათვის აღარ არსებობს აღარც ქართული ძველი და ახალი კულტურა, აღარც სხვა რამე ეროვნების მხრივ თავ-მოსაწონებელი და თითქო ბევრს მათგანს რცხვენია კიდევაც, რომ ბედს ქართველად გაუჩენია. აგერ 15 წელიწადი სრულდება, თვალს ვადევნებ ამათ და თანდათან ვრწმუნდები, რომ სრულ გადაგვარების გზაზე სდგას მთელი ამოდენა ქართველობა. ეს კი მე მგონია, ჩვენისთანა უმისოდაც პატარა და ის კიდევ არა ნორმალური პირობებში მყოფ ერისთვის სახიფათო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მშობლებმა თუ ქართული ლაპარაკი მაინც იციან, ხშირად შვილები, რომლებიც ადგილობრივ საშუალო სასწავლებლებში სწავლობენ, ქართულად სრულიად ველარ ლაპარაკობენ და აღარც საჭიროდ მიაჩნიათ ქართულის სწავლა.

აი რამდენისამე წლის წინად ერთ ამისთანა ქალაქთაგანში მითხრეს, ადგილობრივ გიმნაზიებში მოსწავლეთ, ქალთა და ვაჟთ, სურთ ქართულ ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა და რჩევასა და დახმარებას ითხოვენო. დიდის სიამოვნებით, რამდენადაც დრო, გარემოება და ცოდნა ხელს შემიწყობს დავეხმარები-მეთქი, ვუპასუხე.

დანიშნულ დროსა და ადგილს მართლაც შეიკრიბენ მოსწავლენი. მეც, რამდენადაც შემეძლო, აღტაცებით გადავეცი ჩემი გულწრფელი სიხარული მათი სურვილის აღძვრის გამო და წარსულ გამოცდილებიდან ვუამბე, თუ რა უხერხულად გრძნობენ თავს უნივერსიტეტში ის ქართველი-სტუდენტები, რომელთაც სამშობლო ენაზე გაზეთის წაკითხვაც კი უჭირთ. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა აუდიტორიაში ბოლოს ჩურჩული შეიქმნა და შემდეგ რამდენიმე ყმაწვილმა პირდაპირ აღიარა, აბა რა საჭიროა მაინც და მაინც ქართულ ენის შესწავლაზე დროს დაკარგვაო; ენა მხოლოდ იარაღია ცოდნის შესაძენად და სხვა არაფერიო და სხვა ამისთანები. ძუსხტად დავრჩი, მაგრამ რაღას ვიზამდი. თუმცა სრულიადაც მომზადებული არ ვიყავი ამნაირ თემაზე მსჯელობა-კამათისათვის, ვილაპარაკე სამშობლო ენის მნიშვნელობაზე; მხოლოდ, რასაკვირველია, მიზანს ვერ მივაღწიე და ურწმუნონი ვერაფრით ვერ დავარწმუნე...

მართალია, მას შემდეგ დრონი იცვალნენ და ბოლოს დროს ჩვენი მოსწავლე-ახალგაზდობა უფრო სიყვარულით ეკიდება ყოველსავე მშობლიურს, როგორც ეს ზოგიერთ ნიშნებიდანა სჩანს, მაგრამ აღნიშნულ

ცარყოფით მიმართულებას ჯერ კიდევ სავსებით არ მოუჭამია თავისი დრო და, თუ წინააღმდეგი მიმართულებაც ჩნდება, ასისი გამხნევება და გამაგრებაა საჭირო, რასაც, როგორც გაზეთების რეცენზიებიდანა ჩანს (სამწუხაროდ, მე პირადად ბედნიერება არა მქონია ლექციების მოსმენისა) ჩინებულად ასრულებს ბ-ნი გრ. რობაქი-ძე თავის ლექციებით ქართველ მწერლებზე.

საზოგადოდ ჩვენი მწერლობა, რომელიც არც ისე ჩამოუვარდება მაინც და მაინც სხვა ერთა თანამედროვე მწერლობათ, ძალიან აბუჩად არის ჩვენში აგდებული; თვითონ ჩვენებური მოღვაწენიც კი ხშირად თითქმის სასაცილოდ იღებენ ჩვენ საუკეთესო მწერლებსა და მათ ნაწერებს. მე კარგად მახსოვს, მაგალითად, ერთ ქართველ საზოგადო მოღვაწის აზრი აკაკის შესახებ, იმ საზოგადო მოღვაწისა, რომელიც თურმე თვითონაც მწერალი ყოფილა როგორც ამ ბოლო დროს აღმოჩნდა. მთელი აკაკის პოეზია „მიო, მიო“-ა და სხვა არაფერიო, ამბობდა იგი, ესე იგი ცარიელი რითმების გროვაო. მახსოვს აგრეთვე მეორე ქართველ განათლებულ პირის ნათქვამი, რა ვქნა, როცა ჩეხოვის მოთხრობები წინ მიდევს, ყაზბეგისთვის ვერ მოვიცლიო. ვინ ამბობს, ჩეხოვი დიდებული მწერალია, მაგრამ არა ნაკლებ დიდებულია ყაზბეგიც და ქართველმა როგორ უნდა არჩიოს ამის ქართულ სულის გამღენთილ მშვენიერ მოთხრობებს ჩეხოვის რუსულ უდროობის გამომხატველი ნოველლები? თუ აკაკისა და ყაზბეგზე ამნაირი აზრისანი არიან ჩვენი განათლებულები, რაღა გასაკვირველია, რომ სხვები არაფრად მიაჩნდეთ წინადაც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ ქართულ მწერლობის ამნაირ დამცირებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ზოგ ჩვენ კრიტიკოსსაც. ერთმა მათგანმა, მაგალითად, ამას წინად რამდენიმე ფელეტონი უძღვნა ცნობილ არციბაშევის ნაწერების გარჩევას და თანამედროვე მწერლებს ურჩია, მისგან ისწავლონ, როგორ უნდა ამ ჟამად წერა (ხელთ არ მაქვს აღნიშნული გარჩევა, რომ სიტყვა-სიტყვით მოვიყვანო ავტორის აზრი და იძულებული ვარ ისე გამოვთქვა იგი, როგორც დამახსოვდა). რასაკვირველია, ჩვენის მწერლობის ნაკლებად მცნობი, გაგადაგვარების გზაზე დამდგარი განათლებული ქართველი რომ ამისთანა აზრს გაიგონებს, და ის კიდევ ქართველ კრიტიკოსისაგან, აღარ მოისურვებს ქართულ მწერლობის გაცნობას! მართლაც, თუ არციბაშევიც-კი იდეალად გამხდარა ჩვენთვის, სულ დაღუპულები ვყოფილვართ! მაგრამ, საბედნიეროდ, სცდება პატივცემული კრიტიკოსი, სცდებიან სხვებიც, ვინც ამისთანავე აზრისანი არიან. არა თუ არციბაშევის ცალმხრივ მოთხრობებს არ ჩამოუვარდებიან ჩვენი მწერლების ნაწერები, თვით პირველხარისხოვან რუსეთისა და ევროპის თანამედროვე მწერლების ნაწერებსაც-კი თამამად ამოუდგებიან გვერდით. შორს რომ არ წავიდე, დავასახელებ ამ წელში მოთავსებულ ჟურნალ „ფასკუნჯში“ ორ პატარა მოთხრობას „გრძნეულ ციხეს“ და „დარისპან თორაშვილს“ და პირდაპირ ვიტყვი, რომ თუ არ უცნაურობით, სხვით არაფრით ვერ აიხსნება; დასახელებულ თავთავისს პირობაზე შედევრების ავტორებს ურჩიოს ქართულ მწერლობის გულშემატკივარმა, თავი დაანებეთ მაგნაირ წერას და „სანინი“-სებური მოთხრობები სწერეთო.

მაგრამ, მადლობა ღმერთს, ბოლოს დროს ეტყობა ჩვენს მწერლობასაც უდგება უკეთესი დრო და საუკეთესო მერცხლად ამ დროს მოახლოვებისა ბ-ნი გრ. რობაქიძე უნდა ჩაითვალოს თავისს ლექციებით. დავუბრუნდეთ ჩვენს უმახლობელეს საგანს ამ ჟამად.

ბ-ნ რობაქიძის ლექციები ზემოდ ჩამოთვლილ ქალაქებში ორ მეტად დიდ მნიშვნელოვან საქმეს გააკეთებდა ჩვენის ეროვნებისათვის: პირველათ გააცნობდა ქართველობას უცხოელთ, რომელნიც მხოლოდ იმიტომ ხშირად, რომ სრულიად არა იციან რა ქართულის კულტურისა, თითქმის ველურ აზიელებად გვთვლიან და მეორე—აამაღლებდა თავის თვალში იმ ქართველთ, რომელთაც აგრეთვე იმიტომ, რომ არც ამათ იციან არაფერი ქართულ კულტურისა, ერცხვინებათ კიდევაც ქართველად ყოფნა... თუმცა მარტო ქართული ლიტერატურაზე წაკითხული ლექციებიც (ლექციები შეიძლება რუსულად იქმნას წაკითხული) მატერიალურად სრულს დაკმაყოფილებას მისცემს ლექტორს., მაგრამ, უფრო უზრუნველ საყოფლად ამ მხრივ, უკეთესი იქნება ერთი-ლექცია საზოგადო საკითხის შესახებ იქნეს, როგორც, მაგალითად, ნაციონალური კითხვაა, და მეორე სპეციალურად ქართულ ლიტერატურაზე საზოგადოდ, ან რომელიმე ქართველ მწერალზე კეძოდ...

**დუტუ-მეგრელი.**

## სპარსეთის ამბები

**რუსის აფიცრები.**

„რუს. სლ.“-ს კორესპონდენტი იუწყება თეირანიდან: „პოლკოვნიკ ლიახოვის რუსის სამსახურიდან გადაყენებამ ძლიერ დააფიქრა რუსის აფიცრები და დიპლომატები თეირანში. ეხლა ძლიერ შემცირდა ის პატივი და სახელი, რომელიც მათ ჰქონდათ, როდესაც ისინი რუსის სამსახურში ითვლებოდნენ. ბევრს უკვირს რუსეთის მთავრობის ასეთი განკარგულება: ასეთს გამწვავებულ წამს, როდესაც უცხოელთა სიცოცხლე განსაცდელშია, რუსეთის მთავრობამ რად გადააყენა თავის სამსახურიდან სპარსელ ყაზახთა უფროსიო. ყველა რუსის აფიცერმა საჩქაროდ მოხსენება გაგზავნა პეტერბურგს, სამშობლოში დაგვაბრუნეთო“.

იმავ გაზეთს ატყობინებენ პეტერბურგიდან: „დიპლომატებს ჯერ არ მოსვლიათ ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ პოლკოვნიკი ლიახოვი და რუსის აფიცრები, რომლებიც სპარსეთის ყაზთა ბრიგადაში მსახურებდნენ, სპარსეთის სამსახურიდან გადადგნენ და რუსეთში დაბრუნება მოინდომესო. საყურადღებოა, რომ პოლკოვნიკმა ლიახოვმა, რუსის სამსახურიდან გადაყენების უმალ, რუსის მთავრობას სთხოვა ხელახლა ჩამრიცხეთ რუსის სამსახურში, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში სპარსეთის სამსახურში ყოფნას ვეღარ შევიძლებო. ამ საქმეში რუსის დიპლომატიამ დაუთმო ინგლისის ელჩს, რომელიც მუდამ ცუდს, გამწვავებულ განწყობილებაში იყო პოლკოვნიკ ლიახოვთან და სხვა რუსის აფიცრებთან“.

**შახსევენები სათარ-ხანს მიემხრნენ.**

ამ დღეებში ნეჯეფის შეიხის აღაჰაზუმის რჩევით შახსევენების მეთაურებმა დაადგინეს, რევოლიუციონერებს მივემხროთო. მათ კაცები აირჩიეს და სათარ-ხანს გაუგზავნეს გამოსაცხადებლად, რომ ამას იქით შახსევენები რევოლიუციონერებს დაუჭერენ მხარსაო. ამ მეთაურებს ჰყავთ მშვენივრად შეიარაღებული 10 ათასი ცხენოსანი. შახსევენები ჩრდილოეთ სპარსეთში რუსეთის საზღვარზე ცხოვრობენ და მეტად ყოჩაღი მეომრები არიან. აქამდე ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ შაჰსა და ერთგულად ემხრებოდნენ რეაქციას. შახსევნების რევოლიუციონერების მხარეს გადასვლამ ძლიერ დაალონა შაჰი და მისი მთავრობა. (ზ.)

**1500 მაქოელი მიმხრობია სათარ-ხანს.**

თავრიზიდან ატყობინებენ რუსულ გაზეთებს, რომ ეინუდ-დოვლეს ახალ განადგურების შემდეგ, 1500 მაქოელი სათარ-ხანის მხარეს გადავიდაო.

**რევოლიუციონერების ახალი გამარჯვება.**

თეირნიდან ატყობინებენ „ნოვ. რუს“-ს: ნავთსადგურები გიაზი და მაშად-ხორი, კასპიის ზღვის ნაპირზე, რევოლიუციონერებმა აიღესო. ნავთსადგურების მთელს შემოსავალს განაგებენ ხალხის მიერ არჩეული კაცები.

ქალ. ხამანიდან და არაკიდან გუბერნატორები განდევნეს. ამ ქალაქების მმართველობა ადგილობრივ ენჯუმენების ხელში გადავიდა.

**ეინუდ-დოვლე.**

ხმა დადის, რომ უკანასკნელ ბრძოლის დროს, როდესაც სათარ-ხანმა მთლად გაანადგურა და უგზო-უკვლოდ დაქსაქსა ეინუდ-დოვლეს ჯარი, თითონ ეინუდ-დოვლეც მოჰკლესო.

**შაჰის საჩუქარი.**

„ნ. რუს“-ის თეირანელი კორესპონდენტი იუწყება: ხუთი რეშტელი რევოლიუციონერი მოვიდა თეირანში. მათ თეირანის მიდამოები დაზვერეს და ეხლა უნდათ, აქაურ კონსტიტუციონალისტებს გააცნონ რევოლიუციონერების მდგომარეობა და ძალა. მათ მიამბეს, რომ ამას წინად შაჰმა მოინდომა რეშტის გენერალ-გუბერნატორის საპეხდარის გადაბირებაო.

სპარსეთში უმაღლეს საჩუქრად ითვლება შაჰის ნაცვამის მუნდირის ბოძება. საპეხდარის თავის მხარეზე გადასაბირად მამედ ალი შაჰმა გაუგზავნა თავისი ახალი ოქროთი ნაკერი მუნდირი და თან სთხოვა რეშტი დაამშვიდეო. საპეხდარმა მიღების უმალვე რეშტის ენჯუმენს გადასცა ეს არაჩვეულებრივი საჩუქარი. ენჯუმენის წევრებმა სხდომა მოახდინეს და დაადგინეს შაჰის მუნდირი მანკენს (ხის კაცს) ჩაეცვათ და მოედანში გამოჩენილ ადგილას დაედგათო. მუნდირის უკანა მხარეს მიაკრეს ზედ-წარწერა, რომელშიაც დაწვრილებითაა ახსნილი თუ რისთვის გამოგზავნა შაჰმა ეს საჩუქარი. მანეკენი შაჰის მუნდირით დღემდე დგას მოედანზე და მთლად აჭრელებულია ნაირ-ნაირ ზედ წარწერით შაჰის მიმართ. ამ ამბის შემდეგ გაბრაზებულმა შაჰმა 10,000 თუმნად დააფასა საპეხდარის თავი.

**მუშტეიდების დეპეშა.**

წმ. ქალ. ქერბალაის მუშტეიდებმა საგანგებო მანიფესტი გამოუგზავნეს რეშტელ რევოლიუციონერებს: „იბრძოლეთ ხალხის უფლებისთვის, დახმარება გაუწიეთ თავრიზელებს და კონსტიტუციის აღდგენით ისლამი დაიხსენით დაღუპვისაგან.“ (ტ. ლ.).

## ბალკანეთი

**„მორჩა სერბია“!**

18 მარტს სერბიის საერო კრებამ მოახდინა საიდუმლო სხდომა დიდ სახელმწიფოთა საერთო ნოტის განსახილველად.

დეპუტატები დაღვრემილები და გულ-დაწყვეტილები იყვნენ. ყველას კარგად ესმოდა, რომ დამორჩილების იქით გზა აღარ იყო. გარეშე საქმეთა მინისტრმა მილოვანოვიჩმა სამარებრივ სიჩუმეში წაიკითხა სახელმწიფოთა ნოტა. მეტად მძიმე წამი დადგა. კრებამ დაადგინა, დავემორჩილოთ სახელმწიფოების მოთხოვნასაო.

მთელი კრება გაჩუმდა სამარესავით და აი უცებ ერთმა დეპუტატმა დაარღვია ეს სიჩუმე წამოძახილით: „მორჩა სერბია!“

**სერბიელ მოღვაწის აზრი რუსეთზე.**

სერბიის პირველ მინისტრად ნამყოფს ვლადან გიორგიევიჩს უთქვამს ვენურ გაზ. „ნ. ფრ. პრესე“-ს კორესპონდენტისთვის: რუსეთის პოლიტიკის განადგურებამ მთლად მიწასთან გაასწორა რუსეთის მომხრე სერბები და მათი გავლენა. ეხლა ჩვენში ყველასთვის ცხადია, რომ რუსეთი ყოველთვის ისე უყურებდა სერბიას, როგორც „ხურდა ფულს“, გამოსადეგს მხოლოდ ხელის მოსანაცვლებლად. ყველასთვის ცხადია აგრეთვე, რომ ეხლა დროა ავსტრიას დაუახლოვდეთო.

**ბატონიშვილი გიორგი.**

პეტერბურგელი დიპლომატები დარწმუნებულნი არიან, რომ, თუმცა ავსტრია-სერბიის დავა ამ ჟამად მორიგებით გათავდა, მაგრამ მაინც ბალკანეთში ჯერ კიდევ დიდი საფრთხე ემუქრის მშვიდობიანობასაო. პეტერბურგელი დიპლომატები ჰფიქრობენ, რომ სერბიის ბატონიშვილი გიორგი მაინც ხელს არ აიღებს სერბიის პოლიტიკურ საქმეებზეო. დაუდგრომელი და ავსტრიელების დაუძინებელი მტერი—ბატონიშვილი არც ეგრე ადვილად გადადგება პოლიტიკურ ასპარეზიდან. მასა ჰყავს 40,000 ერთგული ყმაწვილი კაცი, რომლებიც თავსდასდებენ ბატონიშვილის ბრძანებით. პეტერბურგელი დიპლომატები წინასწარმეტყველებენ, რომ არ გავა ორი თვე, რომ ბატონიშვილი გიორგი თავის მომდევრებით ბოსნიაში შეიჭრება და იქ აჯანყების ბაირაღსააფრიალებსო.

ერთ გამოჩენილ რუს დიპლომატს უთქვამს „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის: ვნახოთ, მშვიდობიანად ჩაივლის გიორგობა მაისში, ბატონიშვილის სახელწოდების დღე? ცნობები მივიღე, რომ ბოსნიელებს მტკიცედა სწამთ ეს დღე. ბატონიშვილი გიორგი და მისი მეგობარი აფიცრები—პოლკოვნიკი მაშიჩი, თოდოროვიჩი, რაშიჩი და სხვები ბრძოლისთვის ემზადებიან, ახალგაზდა აფიცრებმა და ეროვნულ დაცვის კომიტეტის წევრებმა მტკიცედ გადაწყვიტეს გაზაფხულზე—ბატონიშვილის მეთაურობით შეიჭრნენ ბოსნიაში და იქ აჯანყება მოახდინონ. იფეთქებს აჯანყება, ნოვობაზარის სანჯაკშიაც გაჩნდებიან რაზმები—და მთელს ევროპას აუცილებლად ცეცხლის ალი მოედება. ამ პლანის ნაწილი ბატონიშვილის მოსამსახურემ, რომელიც ჯაშუში გამოდგა, შეატყობინა ავსტრიის ელჩს გრაფ ფორგაჩს და ამან მაშინვე დაარწმუნა მშვიდობიანობის მომხრე მინისტრებს ნოვაკოვიჩს, მილოვანოვიჩს და სტოიანოვიჩს, რომ მათ პეტრე მეფის შემწეობით ბატონიშვილი გიორგისთვის უარი ეთქმევინებინათ მემკვიდრის უფლებაზე. ბატონიშვილი ჯერ ძლიერ კერპობდა და არ ასრულებდა თავის მამისა და მინისტრების რჩევას, მაგრამ როდესაც ცნობა მიიღო, რომ რუსეთი ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსიას დასთანხმდაო, მაშინვე გამოუცხადა პოლკოვნიკ მიშიჩს, რომ უარს ვამბობ ტახტის მემკვიდრეობაზეო და მისმა მდივანმა შესაფერისი წერილი შეადგინა ნოვაკოვიჩის სახელობაზე. ამ დროს გაზ. „ზვონო“-მ ყვირილი მორთო, რომ ბატონიშვილმა თავისი მოსამსახურე მოჰკლაო. ყველას ეგონა, რომ გიორგიმ უარი „ზვონო“-ს წერილის შემდეგ განაცხადაო; როდესაც ეს უარი უკვე მანამდე იყო გამოცხადებული“.

**„რუსეთის დამარცხება“.**

„ნოვ. ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყება ლონდონიდან: „რუსეთის დამარცხებამ და გერმანიის ბრწყინვალე გამარჯვებამ თავზარი დასცა ინგლისურ პრესას. ეს შთაბეჭდილება თან და თან ძლიერდება და ღრმავდება. ბევრმა ინგლისურმა გაზეთმა ცალკე განყოფილება გაიჩინა სათაურით: „რუსეთის დამარცხება“. მთელი პრესა ერთხმად ამბობს, რომ რუსეთის ასეთმა დამარცხებამ ჭკუა უნდა ასწავლოს ინგლისსა, საფრანგეთსა და სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებსაო.

გავლენიანი ინგლისური გაზეთები „ტაიმს“-ი და „დეილი ნიუზ“-ი მეტად მკაცრადა ჰგმობენ რუსის დიპლომატიის მოქმედებას. „დეილი ნიუზ“-ი სწერს:

„მრავალი მიზეზი აქვს რუსეთის დამარცხებას. რუსის ჯარისა და ფინანსების სისუსტე—ეს ერთი. შიში, რომ ვაი თუ ახალ ომის დროს შინაგანი არეულობა დაიწყოსო—ეს მეორე. დასასრულ იზვოლსკის ორპირი პოლიტიკა—მესამე. ყოველ შემთხვევაში გამართლდა აზრი, რომელიც ჩვენ გამოვსთქვით, როდესაც ინგლისმა ის-იყო შეთანხმება დასდვა რუსეთთან. ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთს უფრო გერმანიისაკენ აქვს გული, რომ მისი ნამდვილი ადგილი გერმანიის ბანაკშია. მაროკოს კრიზისის დროს გერმანია შეეცადა ინგლისის და საფრანგეთის განცალკევებას, მაგრამ ვერას გახდა. ეხლა, ბალკანეთის კრიზისის დროს, გერმანიამ მოინდომა რუსეთის ჩამოშორება ინგლისისა და საფრანგეთისაგან და ეს მეცადინეობა გამარჯვებით დაგვირგვინდა. ინგლისს უმთავრესად ის უნდოდა, რომ რუსეთი დიდ სახელმწიფოდ დარჩენილიყო; მისი აზრით, ეს საჭირო იყო ევროპის ძალთა თანასწორობისათვის, მაგრამ ინგლისის მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა. ვერც ერთი მოკავშირე და მეგობარი სახელმწიფო ვერ აღუდგენს სახელს იმ ქვეყანას, სადაც შინაგანი წყობილება დამყარებულია ძალზე. რუსეთი ჯერ თავისუფლად სახელმწიფოდ უნდა გახდეს და მერე, ისიც მხოლოდ ერთი თაობის შემდეგ იქცევა იგი ხელ-ახლად დიდ სახელმწიფოდ“.

## ეგნატე ნინოშვილის

**ძეგლის აგების გამო.**

გიგზავნით 23 მანეთს და 75 კაპეიკს, შეკრებილს ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებად. კიურდა მირუჯარმის რკინის გზის მოსამსახურეთა შორის:

შემომწირველთას სია; ილიკო გუგუნავა 1 მ., გრიგოლ კაკნავა 1 მ., ალექსანდრე რუხაძე 50 კ., ანდრია ხვანაძე 50 კ., კალინიკე ოქჯინიკიძე 1 მ., მელიტონ გვენეტაძე 50 კ., კირილე ანჯაფარიძე 1 მ,. ვასუა 20 კ., გიორგი 20 კ., გრიგორი ბოკუჩავა 20 კ., თუმანოვი 50 კ., ბესარიონ ჭიღაია 50 კ., რაჟდენ მაჭუხადია 50 კ., ნიკო თუხარელი 30 კ., ბერიტოვა 30 კ., ილია ქაჩიბაია 2 მ., ვანო კიკნაძე 50 კ., NN 1 მ., X 1 მ., ს. ხანაძე 1 მ., ა. სამსონია 1 მ., ვ. მეტრეველი 1 მ., ს. გუჯიაშვილი 1 მ., ი. გახვიანი 1 მ.. ი. კალაძე 50 კ., ი. გიორგაძე 19 კ., თ. ცინცაძე 2 მ. 50 კ., ლევან კაკნავა 1 მ., მეზღველი 1 მ., პ. კანდელაკი 50 კ., ? 1 მ. სულ—23 მ. 74 კ.

**ლევან კანკილავა.**

## თეატრ და ხელოვნება

**ბაქო.** ბაქოში რამდენიმე წელიწადია არსებობს სცენის მოყვარეთა დასი. ამას ზედ დაემატა ახლად შემდგარი ქალ-ვაჟთა მგალობელთა გუნდი. ესენი დაუღალავად შრომობენ, არ ერიდებიან არავითარ დაბრკოლებას და მართავენ სისტემატიურ წარმოდგენებს.

15 მარტს „ქართველთა საზოგადოების“ უფიდ თეატრში წარმოდგენილ იქმნა „ტოროლა“, პიესა ფონ-ვალდენბრუხისა, თარგმანი ნ. ტოროშელიძისა. წარმოდგენა დიდით გაიმართა და ამასთან ხელ-მისაწვდენ ფასად.

მოკლედ ასეთია შინაარსი პიესისა: ავგუსტ დანგენთალი, 34 წლის კაცი, ქაღალდის ქარხნის პატრონი, დარწმუნებულია, რომ მუშები, როგორც კულტურის შემტანნი მრეწველობაში ღირსნი არიან ყველასაგან სიყვარულისა და პატივისცემისა. იგი მოხარულია, რომ აუშენა თავის მუშებს სახლები და მუშები მოიმადლიერა. თავის ნათესავ ქალის იულიანას შენიშვნაზე, რომ მოწყალება კი არ ამდიდრებს, უფრო აღარიბებს კაცსაო, ავგუსტი უპასუხებს: „ჩვენ კი არ ვაძლევთ მოწყალებას, იმათგან ვიღებთო“. ავგუსტს უყვარს თავისი მოსამსახურე, ქარხნის უფროსი მუშის ქალი, გულუბრყვილო, ცქრიალა, ლამაზი ლენა (პიესის უმთავრესი მომქმედი პირი). ავგუსტი ურჩევს ლენას დაავადმყოფებულ დედას, ქვრივ შმალენბახს საქმროდ წავიდეს წყლებზე. ხარჯს თვითონა კისრულობს. შემდეგ უცხადებს, რომ უყვარს ლენა და რომ უნდა შეირთოს იგი ცოლად. ავგუსტი სთხოვს დედას გადასცეს ეს ლენას და შემდეგ ბრუნდება სახლში მომავლის მოლოდინში უსაზღვროდ გახარებული ქვრივი და მისი მაზლი (ქარხანაში ჩვრების მრჩეველი მუშა ადე შმალენბახი). ამ ამბავს ლენას უზიარებენ. ლენას სიხარულს არა ჰგვრის ეს ამბავი. მას მოწონავე მუშა ილდეფელდი უყვარს და ამიტომ ვერაფერ სასიამოვნოდ მიაჩნია მექარხნის ცოლობა. მაინც უარს ვერ ეუბნება ქარხნის პატრონს. ილდეფელდი, გაიგებს რა ამ ამბავს, გულნატკენი ქარხანას თავს ანებებს და მიდის სხვაგან.

ლენა ავგუსტის ცოლი ხდება. მაგრამ ლენა ვერ ურიგდება ახალ ცხოვრებას, არ ეხერხება განცხრომა, [illegible] იფიწყებს თავის [illegible] —მას უყვარს მუშა ილდეფელდი.

ავგუსტს ჰყავს უმცროსი ძმა გერმანი—გარყვნილი და გაცემული ყმაწვილი კაცი. გერმანი დიდიხანია სცდილობს ლენას შეცდენას. ხშირად საჩუქრებს აძლევს თავის „ქორჩიან ტოროლას“ (ასე ეძახის ლენას გერმანი). გარემოება ხელს უწყობს გერმანს. იგი ლენას ურჩევს: არ შეურიგდეს თავის მდგომარეობას, ავგუსტის სიყვარულს და ქორწინებას ყალბად უხსნის, ეუბნება, რომ ავგუსტი სასტიკად მოეპყრა ილდეფელდს და ქარხნიდან დაითხოვაო. ლენა იჯერებს ამას და სთხოვს, დაიხსნას ამ გაჭირვებისაგან. გერმანი ურჩევს ლენას, გაჰყვეს ბერლინში და იქ შეახვედრებს ილდეფელდს. ლენა, დიდის ყოყმანის შემდეგ, დასთანხმდება, მიდის მასთან სახლში, მაგრამ გერმანი ატყუებს და ძალას ხმარობს მის გასაუპატიურებლად. ლენას ყვირილზე შეამტვრევენ კარებს ავგუსტი და იულიანა და მოწმენი ხდებიან საზიზღარ სურათისა. ავგუსტს უნდა მოჰკლას ძმა, მაგრამ გულკეთილობა თავს შეაკავებინებს, გერმანი კი სრულიად გულცივად სტოვებს სახლს. ავგუსტი ბოლოს იგებს ლენასაგან ყველაფერს, რომ მას უყვარს ილდეფელდი, რომელიც ამ შემთხვევას თვალ-ყურს ადევნებდა. ავგუსტი თანაგრძნობას უცხადებს ილდეფელდს, ნებას აძლევს ქარხანაში მუშაობისას და ამ ამბით გახარებულ ლენა ილდეფელდს ყელზე შემოხვეული და ერთად გარბიან დედასთან. ავგუსტი კი გულ-დაწყვეტილი ურიგდება ბედს.

ასეთია პიესის შინაარსი. თუმცა იგი ძალიან გაჭიანურებულია, მაგრამ მოთამაშეებმა მაინც დაიპყრეს მაყურებელნი. ლენას როლს თამაშობდა ქ-ნი გამრეკელი, რომელმაც გადაგვიშალა გულუბრყვილო ყმაწვილი ქალის სული და გული, რაც მის ნიჭს, შრომას და სცენისადმი სიყვარულს უნდა მივაწეროთ. ბ-ნმა ა. ახობაძემ სული ჩაუდგა გერმანს. კარგად შეეგნო ილდეფელდის როლი ბ-ნ თაღაკვაძეს. მეტად ბუნებრივი იყო მისი თამაში. კარგი იყო ბ-ნი მატარაძეც (ავგუსტის როლში). ჩვეულებრივად კარგები იყვნენ თავიანთ უმნიშვნელო როლებში ქ-ნი ე. მესხი (იულიანა) და ბ-ნი შველიძე (ადე შმალენბახი). მხარს უჭერდა ანსამბლს ქ-ნი ლიახვისპირელი (ქვრივი შმალენბახის როლში).

დასასრულს, ქართულმა ქალ-ვაჟთა გუნდმა ბ-ნ ვლადიმირსკის ლოტბარობით შეასრულა ქართული სიმღერები: „მუშური“, „ფაცხა“, „რერო“, „სამშობლო“ და „გოგონა“. საზოგადოების თხოვნით სიმღერები გაიმეორეს.

№

## რუსეთი

◆ **უნივერსიტეტებში.** როგორც ვწერდით, საერო განათლების მინისტრმა გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც პედაგოგი სტუდენტები მოვალენი არიან, უნივერსიტეტში დაწესებულ ეგზამენების გარდა, სამინისტროს მიერ ახლად შემოღებულ საგნებშიაც დაიჭირონ ეგზამენი. ამ ცირკულიარს დიდ გაჭირვებაში ჩაუყენებია სტუდენტები, რადგან ის სტუდენტები, რომელნიც ამ წელს ათავებენ სწავლას, სულ მოუმზადებელნი არიან ამ საგნებში. გაზეთ „რეჩის“ სიტყვით, ყველა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოებს შუამდგომლობა აღუძრავთ მინისტრის წინაშე, რომ სტუდენტებს უფლება მიეცათ ამ საგნებში ეგზამენები არ დაიჭირონ. იმავე გაზეთის სიტყვით, მინისტრს ნება დაურთავს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ეს სტუდენტები შტატ გარეშე მასწავლებლებად ჩაითვალნენ. ამასთან ისინი მოვალენი იქნებიან ამ საგნებში ერთი წლის განმავლობაში რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში დაიჭირონ ეგზემენი, წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებლობიდან დაითხოვენ.

◆ **რკინის გზებზე.** „ნაშა გაზეტას“ სიტყვით, 1908 წელს რუსეთის რკინის გზებიდან გაუტაცნიათ და მოუპარავთ სულ შვიდი მილიონი მანეთი.

◆ **გუბერნატორის პროპაგანდა.** ოლონეცის გუბერნიიდან „რეჩს“ ატყობინებენ, რომ აქაური გუბერნატორი სოფლის საზოგადოებებს დაჟინებით ურჩევს „კოლოკოლი“, „რუსკ. ზნამია“ „ზემლია“ და სხვა შავრაზმელ გაზეთები გამოიწერეთო.

◆ **დახვრეტაზე უარის თქმა.** ამ რამდენიმე ხნის წინად ქალაქ ეკატერინოსლავში სამი კაცისათვის დახვრეტა გადაუწყვეტიათ. ჯარის უფროს ეს საქმე აფიცერ ს.-სთვის მიუნდვია, რომელსაც სალდათები უნდა წაეყვანა დასახვრეტად. აფიცერს უარი განუცხადებია, უიარაღოებს ვერ ვესვრი, ჩემი საქმე არ არისო. ამაზე აფიცერი სამართალში მიუციათ. სასამართლოს მისთვის ყოველივე უფლება ჩამოურთმევია და 2 წლით ციხე გადაუწყვეტია. აფიცერი ს. რუსეთ-იაპონიის ომში იღებდა მონაწილეობას და ქას სიმამაცისთვის ბევრი საჩუქარი აქვს მიღებული.

◆ **ახალი კანონ პროექტი.** იუსტიციის სამინისტროს შეუდგენია ახალი კანონ-პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად ამ ცოტა ხანში წარედგინება სახელმწიფო სათათბიროს. კანონ-პროექტით, პოლიტიკურ კატორგელებს კატორღის ან განთავისუფლების შემდეგ ციმბირში აღარ დაასახლებენ და ისევ კატორგაში კატორგაში დასტოვებენ. ამის მოტივად ის მოჰყავთ, რომ პოლიტიკური კატორგელები გადასახლების უმალვე გარბიანო.

◆ **სახელმწიფო საბჭო და პოლონელები.** როგორც ვწერდით, სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენე წევრებს განზრახული ჰქონდათ შეეზღუდათ პოლონელების წარმომადგენელთა რიცხვი სახელმწიფო საბჭოში. ამათ უკვე დაუმთავრებიათ პროექტი ამის შესახებ. პროექტით დასავლეთ რუსეთის 9 გუბერნია იყოფა სამ საარჩევნო ოლქად: ვილნოსი, კიევის და მოგილევისა. თვითეული საარჩევნო ოლქი ირჩევს სამს წარმომადგენელს, იმ პირობით კი, რომ რუს მცხოვრებლებმა თვითეულ ოლქში ორი წარმომადგენელი აირჩიონ. ამ რიგად პოლონელებს ამ გუბერნიებიდან სახელმწიფო საბჭოში მხოლოდ სამი წარმომადგენელი ეყოლებათ, აქამდის 9 ჰყავდათ. პროექტს ახლავს განსამარტებელი მოხსენება. ამ მოხსენებაში ნათქვამია, რომ რუს მცხოვრებლების ინტერესები უნდა დავიცვათ, რადგან რუსები გულცივად ეკიდებიან არჩევნებს და თუ თავისუფალი არჩევნები იქნება, ყოველთვის პოლონელები გაიმარჯვებენო, განზრახული აქვთ თურმე, რაც შეიძლება ჩქარა განახორციელონ პროექტი, რადგან წელს დანიშნულია სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევაო.

◆ **ფინლიანდია.** ამ თვეში სწორედ ასი წელიწადი შესრულდა, რაც რუსეთმა ფინლიანდია შეიერთა. ფინლიანდელებს არ უდღესასწაულნიათ ეს დღე.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში—1, ეკატერინოსლავში—1, ეკატერინოდარში—2, ელისავეტოპოლში—2, ხარკოვში—1, კიევში—2 კაცს. სიკვდილით დასაჯეს: ოდესსაში—2, იურიევში—1, კამენეც-პოდოლსკში—2, ტომსკში—1, ეკატერინოდარში—1 კაცი.

◆ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“.** პეტერბურგის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ კრებაზე დუბროვინს წაუკითხნია იაროსლავის კრების დადგენილება, რომლითაც მთავრობას კი არ უნდა ვთხოვოთ, როცა რამეა საჭირო, არამედ მოვთხოვოთო. კრებას მოუწონებია ასეთი დადგენილება.

◆ **დეპუტატი-მღვდლები.** გაზეთ „რეჩის“ სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროს მღვდელ-დეპუტატებს მთავრობისთვის უთხოვნიათ. ნება დაგვრთეთ, რომ სააღდგომო კანიკულების დროს ჩვენი ამომრჩევლები შევკრიბოთ და ყველაფერი გავაცნოთო. მღვდლებს ამის მოტივათ ის მოჰყავთ, რომ ცალკე ფრაქციის დაარსება გვინდა და როგორ შეიძლება, რომ ჩვენი პროგრამმა ამომრჩევლებს არ ვაცნოთო.

◆ **რევიზია.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, მთავრობას განუზრახავს რევიზია გაუკეთოს სახლვაო სამინისტროს.

◆ **ახალი კანონ-პროექტი.** იმ კომისიას, რომელიც საყოველთაო სწავლის პროექტს იმუშავებდა, უკვე დაუმთავრებია თავის მუშაობა. პროექტის შემდგენლების აზრით, საყოველთაო სწავლისთვის ყოველ წლივ საჭიროა 10—15 მილიონი მანეთი. საყოველთაო სწავლა, როგორც ვიცით, ათ წელიწადში უნდა განხორციელდეს.

## წერილი რედაქციის მიმართ.

(პასუხის მაგიერ ბ-ნთ ი. ზედგინიძეს, თავ. რ. ამირეჯიბს, ბ. ქ. აბულაძეს და გ. სალარიძეს)

(დასასრული *)

არ უნდა დავიწყებოდათ წერილის ავტორებს, რომ ჩემი ამ საქმის დაწყების დღიდან არც ერთი თვე მშვიდობიანი და უშრომელ ყოფილი არ მქონებია, არც თანხისა და არც გარემოების მხრით. აკრეთვე უნდა მიეღოთ მხედველობაში, ასეთი წერილის შედგენის დროს ისიც, თუ რამდენს და როგორი თანხის მქონე ამხანაგობებს და დაწესებულებებს მოეღო ბოლო ამ ხანებში, სწორედ ამ ხუთი წლის განმავლობაში. ბატონებო! როცა ასეთს წერილს სთხზავდით, რატომ არ გადაავლეთ თქვენი ჩემს შესახებ ასე შორს გამჭვრეტი თვალები ბათუმს, ფოთს, ქუთაისს, ოზურგეთს, ტფილისს, ბაქოს და სხვა? რა იქნენ ბათუმის, ფოთის და ქუთაისის საურთი-ერთო კრედიტები, ამავე ადგილების ამხანაგობანი და ისეთი დიდთანხიანი სააქციონერო დაწესებულებანი როგორიც იყო პოლაკი, ქართველი გამომცემელი ამხანაგობა, იარალოვი, ნადეჟდა, როტშილდის და მანტაშოვის ბათუმის ქარხნები, ტფილისის შუამავლები და სხვა მრავალი? რატომ არ ილაშქრებენ მათ წინააღმდეგ მათი ამხანაგები, რათ არ სწერენ ასეთს წერილებს ამ დაწესებულების ასე დაღუპვის შესახებ? არავინ არაფერს სწერს და არც არავინ დასწერს, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ აქ პიროვნება არაფერ შუაშია ყველა ეს მოვლენა გარემოების ბრალია. რომ ასე უნდა მომხდარიყო და ამისათვის ასეთ წერილების წერა არ შეიძლება იქ, საცა საქმისადმი გულშემატკივრობაა და გარემოება-მდგომარეობის გამგები დამფასებელი და ადამიანის ღირსების, პატივის ცემა მით უმეტეს რომ ასეთს წერილებს არაფრის გაკეთება, არც გასწორება არ შეუძლიანთ, წახდენა გაფუჭება და გათახსირება კი.

მაგრამ ჩვენში ასე იყო მუდამ და ახლაც ასეა, და წერილის ავტორნიც ალბად ასე ფიქრობდნენ, როცა ასეთ წერილს გაზეთში ბეჭდავენ: „ჩვენი ურგები ქოთანი ქვას და შემუსრავს ძაღლსო“.

მაგრამ, ნურას უკაცრავად, თუ მე ამაში ვერ დაგეთანხმოთ, რადგან, რაც ყველა ჩვენი ამხანაგობის წევრებს საერთოდ აქვთ შემოტანილი, მე, თუ მეტი არა ორი იმდენი მაინც მაქვს და ჩემი ხუთი წლის შრომა კიდევ მეტი, გარდა ამისა ისინი მხოლოდ თავიანთ საწევრო ფულით არიან პასუხისმგებელნი ამხანაგობის საქმეების წინაშე და მე კი მთელის ჩემის ცხოვრება-ქონებით, ამისათვის მე ვერასოდეს ვერ დავეთანხმები ბატონთ წერილის ავტორთ იმ აზრში, რომ ლიკვიდაცია მოახდინონ. ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში დავეთანხმები, როცა მე გამანთავისუფლებენ ყოველივე პასუხის გებისაგან და უზრუნველ ყოფენ მისს ასაღებ მისაცემებს.

ანგარიშების შესახებ მე იმასვე მოვახსენებ ჩემს ვითომდა მეთვალყურეებს, რაც უკვე მოვახსენე ყველას, რომ 1907 წლის ანგარიში იკივეა რაც იყო და იგივე რჩება. 1908 წლის ანგარიშები კი ცხადად შეუძლიანთ გაითვალისწინონ ქარხნის ანგარიშებიდან და მუხრანის ხიდის წარმოებისაგან და ყოველთვის შეუძლიანთ მოახდინონ რევიზია, ოღონ ისე კი რომ ამით საზოგადო საქმეს არა ევნოს რა. ყოველი შემთხვევისათვის ამასთანავე ვაუწყებ ამ საქმეში დაინტერესებულ პირთ, რომ, როგორც ლიმონათის ქარხანას ისე მუხრანის ხიდის საქმეებს და მასთან მეც ამ საქმეების მომწყობსა და მწარმოებელს გვაქვს პირობები და ანგარიშები სხვა და სხვა პირებთან და ასაღებ მისაცემები, რომელიც ამ საქმეებმა უნდა გაისტუმრონ.

მათ ირონიულ შენიშვნას, თითქო მე ამხანაგებისთვის 17 ათასი მანეთი მეჩვენებინოს მოგება წარსული წლის მაისის კრებაზე, მე სამწუხარო გაუგებრობად ვსთვლი. მე ახლაც იმასვე ვიტყვი რაც მაშინ ვსთქვი „რომ ყველა ის ქონება, საქმე და ორგანიზაცია დღეს მუშტრიათ თვალით შევაფასოთ ამხანაგობას 20 ათასი მანეთი მოგება დარჩება მეთქი, მხოლოდ თუ ასე უმოქმედოთ დარჩა უსახსროების და საშინელი საერთო კრიზისების გამო ვალებშიაც ჩავვარდებით“.

ასეთს კრიზისს განიცდის დღეს ყველა ჩვენი ქვეყნის ამხანაგობის და დაწესებულების საქმეები და მეტადრე კი ჩვენი მადნიანი ადგილიც, რომელზედაც ისე შემნიშვნენ წერილის ავტორნი.

აქვე უნდა მოვახსენო მათ, რომ მე არც ერთს მათს წამოყენებულ ბრალდებას არ ვსცნობ საფუძვლიანად, ყველა ის მოვლენანი, რომელსაც იგინი მე მაბრალიან მოხვდა და ხდება ახლაც სრულიად ჩემზე დამოუკიდებელ მიზეზების გამო. თუნდა ავიღოთ უმთავრესი მათი ბრალდება, საამხანაგო ხელშეკრულობის, ანუ როგორც ისინი ეძახიან, წესდების შეცვლა მთავრობის ბრძანებით მოხდა და არა ჩემის სურვილით; სავაჭრო-საკომისიონერო კანტორას 15 ათასი მანეთი „ზალოგი“ სჭირია და ჩვენ კი კანტორის გახსნისა და საქმის დაწყების დროს ამის მეათედიც არ გვქონდა, ამ ტომაც იძულებული გავხდით ხელშეკრულება-წესდება ისე შეგვეცვალა, რომ ეს „ზალოგი“ თავიდან აგვეცილებინა და აგრეთვე სხვა ყველა მოვლენიც გარემოების, პოლიტიკურ მოძრაობის და ყოველგან საშინელ კრიზისების ბრალი გახლდათ.

ვინც საქმესთან ასე თუ ისე ახლოს იყო და არის, ვინც ჩემს ამ 5 წლის განმავლობაში ცხოვრება-მოქმედებასთან ახლოს იყო, რომ ჩემთვის არც დღე და არც ღამე მშვიდობიანი არა ყოფილა და ყოველთვის იმის ცდასა და ფიქრში ვყავი, როგორმე საქმე წინ წამეწია და სასურველ გზაზე დამეყენებინა, ადვილად ჩახვდება და იცის კიდეც, რომ მე ამ საქმიდან არაფერი სასყიდელი არ ამიღია და თვით თავის რჩენაც კი უზრუნველ ყოფილი არა მქონია, ყოველ დღიურ ხარჯსაც კი გარედან ვ[illegible] [illegible] თუ ეს [illegible] უტყუარის საბუთებით, მაგრამ [illegible] ცი [illegible] აუარებელ დაბრკოლებებთან ბრძოლა ერთი კაცის ძალღონეს არ შეუძლიან, მოეხმარე და შემწის ადგილას წამრთმევი, მოღალატე და ხელის შემშლელის მეტი არავინ მყოლია. მიუხედავად ამისა, მე მაინც ფარ-ხმალს არ ვყრიდი და არც დავყრი, და ჩემის უსათუო რწმენით ჩვენმა ამხანაგობამ მაინც თვალსაჩინო საქმეები გააკეთა; სხვა რომ არა იყოს რა მან შექმნა კავკასიაში ერთი ახალი პროფესიონალური საქმე—გრანიტის ქვის წარმოება, რომლიდანაც რამდევიმე ასი ოჯახი უმწეო ჩვენი ქვეყნის გლეხ-კაცობასა და მცხოვრებისა თავს ირჩენს.

ახლა ვნახოთ, თუ მე რა შევიძინე აქედან, რა მომცა ამ ამხანაგობამ? ზოგი ამხანაგების აზრს რომ ვკითხოთ, თითქო ქონებაც შემეძინოს, მაგრამ „ტომარაში მახათს ვერ დამალავო“, ნათქვამია და სინამდვილე უეჭველად სულ სხვას გვაჩვენებს. ნამდვილი მხოლოდ ის არის რომ მე ამ საქმიდან წვალებისა, აუტანელის შრომისა და სახელის შებღალვის მეტი არაფერი შემიძენია. მაგრამ აკი წინათაც ვაღიარე, ამის ნამდვილად გასასამართლებლად ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი მხოლოდ ადამიანის შეურაცხყოფით, მისი პიროვნების გათელვით კმაყოფილდება მაგრამ მე რაკი ვიცი და მტკიცედაც მწამს, რომ ჩემი სვინიდისი ყველასთან და ყოველგან წმინდა არის, ამისათვის ყურადღებას არაფერს ვაქცევ და არც მეშინიან. არასოდეს არავისთვის მოთანი არ მითქვამს და არც ვეტყვი.

შესაძლებელია ეს ჩემი წერილი ბევრს არ ეჭაშნიკოს და მოისურვონ კიდევ ჩემი ლანძღვა-გინება, ეს, რასაკვირველია, მათი საქმეა, მაგრამ მე კი ამ საგანზე ამის მეტს არას დავსწერ და არც პასუხს გავსცემ, რადგან მე ამისათვის არა მცალიან.

**იასე რაჭველი-მეხუზლა.**

*) იხ. „დროება“, N 69.


პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. პვეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**ბავშვებისათვის სააღდგომო საჩუქარი**

გამოვიდა ორი სახალხო ზღაპარი ფერადი სურათებით

1

**„მამაცი მგზავრები“**

ფასი 25 კაპ.

2

**„მშიერი მგელი“**

ფასი 10 კაპ.

იყიდება წერა-კითხვისა და ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიაში. მთავარი საწყობი: Тифлисъ, книжный магазинъ „Общества Грамотности“. ვინც ათობით გამოიწერავს საწყობიდან, დაეთმობა 20%, გზის ხარჯი მყიდველისაა. (10—154—6)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 19—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—34)

**სამკურნალო**

**გარედან მოსიარულეთათვის ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.**

რიყის ქ., ს. N 78, (სათივე მოედ. პირდაპირ.)

**ს. მ. ასპისოვი**—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.
**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ს. ზ მირზოევისა**—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ი. ა. ფრიდონოვი**—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.
**ს. ა. თარხანოვი**—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.
**ა. ი. შახ-აზიზოვი**—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.
**ნ. ბ. ნარიმანოვი**—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.
**ე. მ. ზვიაგინა** - კბილ. 9—11 ს.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.

სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (100—ხალ.—24)

პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა

**ნუ რყვნით ქალებს!..**

ანუ

**„კაცობრიობის მტერნი“**

შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტიქტი და გონება.—მრუშის პსიხოლოგია.—გონს მოდით.

ფასი 65 კაპ.

„დროების“ ხელის მომწერთ დაეთმობათ 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადრესით: Петербургъ, Сергiевская, 81, ф. Каминской.

**КОНЬЯКЪ О. С.**

ЗАВОДСКАЯ МАРКА

**Д. З. Сараджевъ.**

Тифлисъ.

Главная Контора обращаетъ вниманiе любителей на этотъ, вновь выпущенный, „ОЧЕНЬ СТАРЫЙ коньякъ“. (4—158—4)

**საააქციონერო საზოგადოება**

**„გ რ ა მ ო ფ ო ნ ი“**





**ტფილისის განყოფილება, გოლოვინის პროსპექტი, 9,**

ნებას აძლევს თავის თავს, მოაგონოს როგორც პატივცემულ მუშტარს, ისე ყველა იმას, ვისაც არა გაუგონია რა მე-XX საუკუნის ახალ გამოგონებაზე—ხმის ამომცემზე, რომ **ყველა ოჯახისთვის კმაყოფილებისა და სიხარულის მომგვრელი არის.**

**გ რ ა მ ო ფ ო ნ ი**

საზოგადოების ფირფიტებით, რომლებზედაც დახატულია საქარხნო ნიშანი

**„მწერავი ანგელოზი“.**

TRADE MARK "GRAMMOPHON"

მომავალ დღესასწაულებისა გამო ვურჩევთ ყველას შეიძინოს „გ რ ა მ ო ფ ო ნ ი“, როგორც საუკეთესო თანამედროვე საჩუქარი.

აპარატები არის 30 მანეთიდან დაწყებული 100 მან და უფრო ძვირიც: ფირფიტები 75 კაპ.-დან 3 მ.ნ. და უფრო ძვირი.

ვურჩევთ ყველას შეიძინოს მთელი კომპლექტები ფირფიტებისა, რომლებშიაც სავსებით არის ასრულებული მთელი ოპერები და ოპერეტები, აგრეთვე ცეკვა, რაიცა შეძლებას აძლევს ყველას თავის ოჯახში მოისმინოს ოპერა ან ოპერეტტა ან და საორკესტრო მუსიკაზე გამართოს საცეკვაო საღამო.

მოგვყავს აქვე ის ნაწარმოებნი, რომლებისაც სრული კომპლექტებია:

**საოპერეტო** „ლ ა მ უ რ ა“ „მხიარული ქვრივი“ „პრინცესსა დოლარებისა“

**საოპერო:** „ფ ა უ ს ტ ი“ „რუსლან და ლიუდმილა“ „პიკოვაია დამა“ „ევგენი ონეგინი“

**საცეკვაო:** „შაკონ“ „ჩ ი ნ უ რ ი“ „ლეკური“ ცეკვა „ზეც“ და სხვა.

არის მრავალი ფირფიტა ადგილობრივ სიმღერებისა, ცალ-მხრივი და ორ-მხრივი.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საქარხნო ნიშანს მხოლოდ ეს ნიშანია იმის მაჩვენებელი, რომ ფირფიტა კარგია და არა ყალბი.

**პრეისკურანტები,** კატალოგები, სიები, აგრეთვე ყველა დაბეჭდილი მასალა რიგდება და იგზავნება უფასოდ.

მსურველს საზოგადოების სადგომში უფასოდ შეუძლიან მოისმინოს ფირფიტის დაკვრა.

**მაღაზიასთან სახელოსნოა. შეკეთება სულ იაფად შეიძლება.**

(10—ხალ.—8)

**პროვოდნიკის**

1897 წ.

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т Р Ф З ПРОВОДНИКЪ РИГА 1

1888

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

1908 წ.

**ამხანაგობა რიგაში**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნაღდად და ცალობით:** ●

დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი** სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.

დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ ოფიცერთათვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ღრუბელი;**

**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;

**ცალობით ვაჭრობა დიდა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა**


სტამბა „ხინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.